ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4420497

ნომერი: AR1665856

თარიღი : 05.03.2019

გაცემის თარიღი : 19.03.2019

გაცნობის თარიღი : 20.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , /ბოჭორმის ქუჩა , N 50/18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ტალიაშვილი პ/ნ 01005030351
- თბილისი ნორიოს აღმ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ივლისის №818609 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 05

მარტს NAR1665856 განცხადებით მომართა ლაშა ტალიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 29 ივლისის №818609 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2013 წლის 29 ივლისის №818609 ბრძანებით დაკმაყოფილდა მოქალაქე კახაბერ ჟორჟოლიანის განცხადება და ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ.თბილისში, გამზირი ქეთევან წამებული/ბოჭორმის ქუჩა, N 50/18 (საკადასტრო კოდი: N 01.17.13.041.009 და N01.17.13.041.021 მიწის ნაკვეთზე) პროექტის დარღვევით აშენებული შენობა–ნაგებობა. შენობა–ნაგებობის საერთო ფართობი: 1030.64 კვ.მ
განმცხადებელის განმარტებით, სამსახურის 2013 წლის 29 ივლისის №818609 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურული პროექტის „A-C” და „C-A” ფასადებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, არსებულ ფანჯრის ღიობებზე მითითებულია ალუკაბონდი. შესაბამისად ითხოვს აღნიშნული შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი „A-C” და „C-A” ფასადები შეადარა 2013 წლის 29 ივლისის №818609 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციაში „A-C” და „C-A” ფასადები შეცდომით იქნა დაფიქსირებული. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2013 წლის 29 ივლისის №818609 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ივლისის №818609 ბრძანებაში და ბრძანებით შეთანხმებული „A-C” და „C-A” ფასადები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი გასწორებული „A-C” და „C-A” ფასადებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ივლისის №818609 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 ივლისის №818609 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.